



Humanrights.ge

პორტალი ადამიანის უფლებების შესახებ

ძიება



გაფართოებული ძიება

მთავარი სიახლეები გამოცემები კანონმდებლობა ანგარიშები HRIDC-ს შესახებ ბმულები კონტაქტი

[Text Version](#)

გზის რეაბილიტაციით ასობით ოჯახს არანებაყოფლობითი განსახლება ემუქრება

16.09.2009

გელა მთივლიშვილი, კახეთი



საგარეჯოს და თელავის რაიონების სოფლებში მცხოვრებ ასობით ოჯახს არანებაყოფლობითი განსახლება ემუქრება. ვაზიანი – გომბორი – თელავის საავტომობილო გზის რეაბილიტაციის პროექტი, გზის არსებული მარშრუტის აღდგენას ითვალისწინებს, რაც გზის გაგანიერებასაც მოიცავს. ადგილობრივი მოსახლეობა, ვისზედაც გზის მშენებლობა ზეგავლენას ახდენს, პროექტის შესახებ ინფორმაციას საერთოდ არ ფლობს.

ვაზიანი – გომბორი – თელავის საავტომობილო გზა ვაზიანის დასახლებასთან იწყება და შუაში კვეთს სოფლებს: უჯარმას, პალდოს, ოთარაანთ კარს, სასადილოს, გომბორს, კობაძეს, თეთრწყლებს და მთავრდება ქალაქ თელავში.

აღნიშნული საავტომობილო გზის 10 კმ-იანი მონაკვეთი საქართველოს პრეზიდენტმა, გასულ კვირას, საზეიმო ვითარებაში გახსნა. საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, გზის ამ მონაკვეთზე სარეაბილიტაციო სამუშაოები შპს `მტკვარმა` განახორციელა. დეპარტამენტის ცნობით, მომდევნო მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები უახლოეს დღეებში დაიწყება.

მსოფლიო ბანკის ინფორმაციის გავრცელების პოლიტიკისა და გარემოზე ზემოქმედების პოლიტიკის თანახმად, ამგვარი პროექტებისათვის მნიშვნელოვანია სრულფასოვანი

სხვა სიახლეები

„არა ძალადობას“ - აქცია ბათუმში

საქართველო "საუკეთესო ქვეყნები დედობისთვის" რეიტინგში 94-ე ადგილზეა

რუსთაველი დანაშაულის აღკვეთისას მოქალაქე დაიჭრა

GNCC-ის წევრებმა გასულ წელს პრემიის სახით 331 ათასი ლარი მიიღეს

პარლამენტის თავმჯდომარემ დაცვის წევრების ქმედებებზე ისაუბრა

[არქივი](#)



www.apsni.org

ბლოგი

ქართული პოლიტიკური რეკლამის ისტორიული ექსკურსი

კონსულტაციების წარმართვა, რომელიც გრძელდება 120 დღე გარემოზე ზემოქმედების დოკუმენტაციის გამოქვეყნების შემდეგ. წესით, გარემოზე ზემოქმედების შეფასება სხვა დოკუმენტებთან ერთად ხელმისაწვდომი უნდა იყოს როგორც დაზარალებული მოსახლეობისათვის, ასევე სამოქალაქო საზოგადოებისათვის. ამ დროისთვის, პროექტის საინფორმაციო დოკუმენტი და მასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები, მათ შორის გარემოზე ზემოქმედების შეფასება არ არის ხელმისაწვდომი არც მსოფლიო ბანკის ვებსაიტზე და არც გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის განხილვა არც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, საგარეჯოს და თელავის გამგეობებში მომხდარა. შესაბამისად, იმ სოფლების მოსახლეობა, ვისზედაც გზის მშენებლობა ზეგავლენას ახდენს, პროექტის შესახებ სრულიად არაინფორმირებულია. ჩვენს მიერ სოფლებში უჯარმაში, გომბორსა და სასადილოში გამოკითხული 80 ადამიანიდან, პროექტთან დაკავშირებით ინფორმაციას არცერთი არ ფლობს. მათ მხოლოდ ის იციან, რომ გზის რეაბილიტაცია უნდა მოხდეს, რაზედაც ადგილობრივები დასაქმდებიან.

პროექტში განსაზღვრულია ასანაზღაურებელი ქონების სავარაუდო ღირებულებები. წარმოდგენილი სქემის მიხედვით, შენობა ნაგებობის ერთეულის ღირებულებად, რომელშიც შედის ნებისმიერი შენობა ნაგებობა ფართობისა და დანიშნულების მიუხედავად, ასევე ღობე, აღებულია 4 000 ლარი. ხეხილის ნებისმიერი ერთი ძირისთვის, მაგ. კაკლის ხისთვის შეთავაზებული ანაზღაურება 240 ლარს შეადგენს. ასოციაცია `მწვანე ალტერნატივამ`, რომელმაც ვაზიანი – გომბორი – თელავის საავტომობილო გზის პროექტზე საკუთარი და ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ბანკების დამკვირვებელთა ქსელის შენიშვნები და კომენტარები გამოაქვეყნა, მიაჩნიათ, რომ მსგავსი ტიპის გათვლები ვერ ჩაითვლება დაკარგული აქტივების სრულ და ეფექტურ კომპენსაციად. `ის ემყარება პროექტის განმახორციელებლის გადაწყვეტილებას და არ ითვალისწინებს შემოსავალს, რომელსაც მესაკუთრეები სხვადასხვა ტიპის ქონებიდან იღებენ`, - ამბობს ასოციაციის ექსპერტი ირაკლი მაჭარაშვილი.

მისივე თქმით, ასოციაცია `მწვანე ალტერნატივამ` განახორციელა სავსე გასვლები სოფლებში უჯარმაში, პალდოში, გომბორში და სხვაგან. `სოფელ უჯარმაში განმეორებითი სავსე გასვლისას მოსახლეობამ გვითხრა, რომ სოფელ უჯარმის გამგეობის რწმუნებულის მხრიდან დაფიქსირდა გავლენის მოხდენის მცდელობა იმ ადგილობრივ მაცხოვრებლებზე, რომელთა საკუთრებაზეც შესაძლოა, საპროექტო გზამ გაიაროს. მოსახლეობის განცხადებით, სოფელ უჯარმის გამგეობის რწმუნებულმა მათ განუცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ისინი პროექტთან მიმართებაში საკუთარ აზრს წერილობით გამოთქვამდნენ, შეიძლება საერთოდ კომპენსაციის გარეშე დარჩენილიყვნენ`, - ნათქვამია `მწვანე ალტერნატივას` ანგარიშში.

ექსპერტები არ უარყოფენ, რომ ვაზიანი – გომბორი – თელავის გზის რეაბილიტაცია მეტად მნიშვნელოვანი პროექტია, თუმცა მიაჩნიათ, რომ პროექტი შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი მსოფლიო ბანკის პოლიტიკასა და პროცედურებთან. `უნდა მომზადდეს განსახლების სამოქმედო გეგმა ან მისი ჩარჩო მსოფლიო ბანკის მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაში, რათა დაიხვეწოს ადგილობრივი მოსახლეობის კომპენსაციის და საჩივრების მიღების მექანიზმები. გარდა ამისა, უნდა განიხილებოდეს სხვა ალტერნატივებიც სოფლებში გამავალ მონაკვეთებთან დაკავშირებით. მაგალითად, სოფელ უჯარმის მოსახლეობის ნაწილს



2005 წელს ამერიკელმა მკვლევარებმა დაადგინეს, რომ სატელევიზიო პოლიტიკურ რეკლამებს ამომრჩევლის ნების ფორმირებაზე მხოლოდ ხანმოკლე (ასე - ორკვირიანი), ზეგავლენის მოხდენა შეუძლია.

[ვრცლად...](#)

წინასაარჩევნო სარეკლამო დაპირებები

პოლიტიკური რეკლამების ხარისხი და მიზანი

არქივი

რედაქტორის აზრი

ადამიანის უფლებათა ცენტრი მაღალჩინოსნების სასამართლო პროცესებს დააკვირდება



ადამიანის უფლებათა ცენტრი იწყებს ახალი პროექტის განხორციელებას, რომლის ფარგლებშიც, ცენტრის იურისტები და ჟურნალისტები ყოფილი მაღალჩინოსნების სასამართლო პროცესებს მონიტორინგს გაუწევენ.

[ვრცლად...](#)

საერთაშორისო ზეწოლის შედეგად სახელმწიფო აუდიტმა და აღსრულების ეროვნულმა ბიურომ რეპრესიები შეაჩერეს

ავვისტოს ომი - ვინ არის დამნაშავე?

არქივი

გამოკითხვა

მიაჩნია, რომ შესაძლებელია, გზატკეცილმა საერთოდ გვერდი აუღოს სოფელს. ყველაზე მისაღები ალტერნატივა არ მოხდეს გზის სავალი ნაწილის გაფართოება და ჩატარდეს გზის აღდგენა – რეკონსტრუქციის სამუშაოები. ამით აცილებული იქნებოდა სოფლების მცხოვრებთა არანებაყოფლობითი განსახლება; შემცირდებოდა კომპენსაციების საჭიროება, შესაბამისად – მოცულობა და საერთო ჯამში, პროექტის ღირებულება; ამასთანავე, დასახლებულ პუნქტებში ავტოტრანსპორტის მოძრაობის სიჩქარე კანონით არის შეზღუდული. ამდენად, განიერი გზა პრაქტიკულად არაფერს მოიტანდა მოძრაობის სიჩქარის ხარჯზე მგზავრობის დროის შემცირების კუთხით. სამაგიეროდ, ზემოთ აღნიშნულ დადებით მხარეებთან ერთად, გაიზრდებოდა გზის უსაფრთხოებაც, - აცხადებს მაჭარაშვილი.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ვაზიანი – გომბორი – თელავის გზის რეაბილიტაციის პროექტი, გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას არ ითვალისწინებს. არადა, გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე ადგილობრივები რომ დასაქმდებოდნენ, ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა კახეთში ყოფნის დროს არაერთხელ განაცხადა. პრეზიდენტის ამ განცხადებებმა მოსახლეობას დასაქმებასთან დაკავშირებით გარკვეული მოლოდინები გაუჩინა, თუმცა როგორც აღმოჩნდა, გზის რეაბილიტაციის პროექტში ადგილობრივების დასაქმების თაობაზე არაფერი არ არის ნათქვამი.

[<< უკან დაბრუნება](#)



დატოვეთ თქვენი კომენტარი

თქვენი სახელი:

თქვენი კომენტარი:

ქართულად

დამცავი კოდი: 05ee78

თქვენი აზრით, პარლამენტის მიერ ცოტა ხნის წინ გათავისუფლებული პოლიტპატიმრები იმსახურებდნენ თუ არა განთავისუფლებას?

- უნდა გაეთავისუფლებინათ
- არ უნდა გაეთავისუფლებინათ
- მხოლოდ ნაწილი უნდა გაეთავისუფლებინათ
- მიჭირს პასუხის გაცემა

წინ

შედეგები

არქივი



www.apsni.org

თემები

ბავშვები	ჯანდაცვა
ქალები	კორუფცია
მართლმსაჯულება	არჩევნები
ლტოლვილები / დევნილები	განათლება
უმცირესობები	პატიმრები
მედია	რელიგია
ჯარი	სხვა